საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№32 (6408) 16 მარტი შაბათი 1991 წელი ფასი 5 კაპიკი

გაზაფხულის შრომითი რიტმი

დაიწყო ვაზის სხვლა

გაზაფხული ძალაში შედის, გათბა, ხეს კვირტი მოეძალა. ერთბაშად მოზღვავდა საქმე — ვაზის სხვლა აშენება, ბაღების ფორმირება, ხვნა-თესვა თუ დროულად არ წარიმართა ეს სამუშაოები, შიმშილი და უარესი გაჭირვება წინ გვაქვს.

ამ სიტუაციაში სოფელს ორგანიზებული ხელი სჭირდება, მიწას — მშრომელ[illegible] გულერთგული კაცი. [illegible] თალია, შარშან საზოგადოებრივი მეურნეობების [illegible] იდაციის პროც[illegible] წლის მოსა[illegible] მშრომელებს გადაეცათ, მაგრამ წლეულს შეიცვალა ვითარება, საიჯარო შრომა გადაწყდა, რამაც გაუგებრობა, უკონტროლობა გამოიწვია სოფლად. გაზაფხული კი თავისას შვრება. ამიტომ არავის ეპატიება სოფლად, არც სასოფლო საბჭოს ხელმძღვანელობას, არც კოლმეურნეობისას მეთვალყურის თვალით უყურონ ქაოსურ პროცესებს. მიწას ახლა პატრონი სჭირდება, ადამიანებს — მობილიზება, ახსნა-განმარტებითი მუშაობა.

ცაგერის კოლმეურნეობაში დაიწყო ვაზის სხვლა. საბედნიეროდ, არიან ადამიანები, რომელთაც კეთილსინდისიერება საქმისადმი და შრომის სიყვარული უფლებას არ აძლევთ უღალატონ სოფელსა და ვაზს.

გაპიროვნებული ზვრები უკვე გასხლეს ბიჭიკო კოპალიანმა, ბუჭუ ახვლედიანმა, გრიშა შკუბულიანმა და სხვებმა. პარალელურად შეუდგნენ ვენახის აშენებას.

მალე შეუშრება პირი სახიმინდე ფართობებს და მექანიზატორებიც გავლენ სახნავად.

საიჯარო შრომა არ არის უსარგებლო მშრომელი კაცისთვის. ამიტომ შემართებითა და გულით უნდა მოვეკიდოთ საქმეს, რომ წლის მოსავალს საფუძველი შევუქმნათ, თავსაც ვარგოთ და საქართველოსაც.

ინტერვიუ

არჩევნების წინ

არჩევნებამდე არცთუ დიდი დრო დარჩა. პრობლემები კი მომრავლდა ტერიტორიული საარჩევნო კომისიის მუშაობაში. ჩვენი გაზეთის კორესპონდენტმა რამდენიმე სახელდახელო კითხვით მიმართა ტერიტორიული საარჩევნო კომისიის წევრს **გურამ ჩარკვიანს**. მართალია, პასუხები, შეიძლება არ იყოს ამომწურავი, არჩევნებს მთელ სამზადისს ვერ ასახავდეს, მაგრამ ეს ამჯერად...

— საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საკრებულოთა არჩევნების შესახებ გამოქვეყნებულ კანონს უკვე გაეცნო ჩვენი საზოგადოება. მისი განსაკუთრებით ღრმა ცოდნა სავალდებულოა ყველასათვის. როგორი სიტუაციაა ამ მხრივ ხალხში?

— შეიძლება ითქვას, რომ დიდი ნაწილი ჩვენი მოსახლეობისა არ არის გათვითცნობიერებული ახალ საარჩევნო კანონში, მის არსში და ადგილი აქვს გაუგებრობებს. ალრე აქტივი ფართოდ იყო ჩაბმული ახსნა-განმარტებით მუშაობაში, აცნობდა ამომრჩევლებს კანონის არსს და ამზადებდა არჩევნებისათვის. ახლა კი არ ხდება ამომრჩევლებამდე კანონის დაყვანა, რაც საკმაოდ არასახარბიელო სიტუაციას ქმნის.

— რა ძირითადი სიახლეებია კანონში?

— კანონი თითქმის თავიდან ბოლომდე სიახლეა. განსაკუთრებით მინდა ხაზი გავუსვა ხმის მიცემის წესს, რომელიც სავსებით განსხვავებულია მანამდელ არჩევნებში ხმის მიცემის წესისაგან.

კანონის შესაბამისად შექმნილია მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქები. ჩვენი რაიონის პირობებში თითოეულ ოლქში შექმნილია 3 მანდატიანი საარჩევნო ოლქები. თითოეულ საარჩევნო ოლქში არჩეული უნდა იქნეს 3 დეპუტატი. აღნიშნულ საარჩევნო ოლქებში საარჩევნო ბიულეტენში კი შეტანილი იქნება სამი და მეტი დეპუტატობის კანდიდატი. საარჩევნო ბიულეტენის შევსებისას ამომრჩეველმა დეპუტატობის ყოველი კანდიდატის გვარის გასწვრივ ცარიელ უჯრედში უნდა ჩაწეროს ციფრები შემდეგი მიმდევრობით: ციფრი „1" იმ კანდიდატის გვარის გასწვრივ, რომელსაც აძლევს უპირატესობას სხვების წინაშე, ციფრი „2" იმ კანდიდატის გვარის გასწვრივ, რომლის კანდიდატურაც მისთვის პირველის შემდეგ ყველაზე უფრო მისაღებია, ციფრი „3" იმ კანდიდატის გვარის გასწვრივ, რომელსაც პირველი ორის შემდეგ აძლევს უპირატესობას სხვების წინაშე და ა. შ. ამომრჩეველს უფლება აქვს შეჩერდეს ნებისმიერ ციფრზე. ყოველივე ამას დამუშავება და ხალხთან მიტანა სჭირდება, რომ საარჩევნო პროცესი სწორად წარიმართოს. ადგილებზე კომისიის წევრები გაფრთხილებული გვყავს, რომ ხმის მიცემის წესი განუმარტონ ამომრჩევლებს.

— პრობლემები თუ გაქვთ კომისიის მუშაობაში?

(დასასრული მე-2 გვერდზე)

აგრარული სექტორი: ხვალინდელი დღე

ეს-ესაა დადგა გაზაფხული, ბუნებაზე მაინცდამაინც სამდურავი არ გვეთქმის. მაგრამ სამაგიეროდ კაცი არ გვინდობს, 9 აპრილის შემდეგ ბოლოსდაბოლოს სიმშვიდე ენატრება ქართველ კაცს. სამაჩაბლოში სისხლი იღვრება, ჩვენს მიწას გვეცილებიან, გამოსავალი კი ჯერჯერობით არსაიდან ჩანს. ახლა ყველაზე მთავარი სიმხნევე და ჰირთათმენაა. ღმერთმა ქნას და ბოლოსდაბოლოს თანადგომა ელირსოს ქართველ კაცს.

დრო არ იცდის, საქმე თავისას ითხოვს. თუ ერთგულად გავირჯებით, დასახნავს დროზე დავხნავთ, საგაზაფხულო კულტურებს დროულად მივაბარეთ ხნულს, ჰირნახულსაც ბარაქიანად მოვიწევთ, თავის დასარჩენიც გვექნება და უსახლკაროდ და გასაჭირში ჩავარდნილი მოძმის დასახმარებლადაც უკან დასახევი არა გვექნება რა.

როგორია საგაზაფხულო სამუშაოების ნორმალურად წარმართვისათვის მზადება, რა წესით წარიმართება აგრარულ სექტორში შრომის ორგანიზაცია, რა სიახლეებია ამ მხრივ და საერთოდ რა კეთდება იმისათვის, რომ მძიმე, ულიმღამო შრომისაგან გავათავისუფლოთ ადამიანი? — ამ კითხვით მიმართა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტმა აგროსამრეწველო გაერთიანების უფროსის მოადგილეს შ. ყვირილიანს, რომელმაც თქვა:

რაიონის სოფლის მეურნეობაში ამ გარდამავალ ეტაპზე საიჯარო შრომის დანერგვაზეა ლაპარაკი. გლეხურ მეურნეობაზე გადასვლამ, რაც გასულ წელს თვითნებურად, მიწათსარგებლობის კანონგარეშე მოხდა, ზარალის მეტი არაფერი მოუტანა რაიონის სოფლის მეურნეობას. ადგილი ჰქონდა მიწების მიტაცებას, განადგურდა და გაძარცვულია წლობით ნაგები მეცხოველეობის ფერმები, მრავალწლიანი ნარგავები, რაიონის თითქმის ყველა სოფელში ადგილი ჰქონდა მეზობლურ დავებს, საზოგადოებრივი ზვრებიდან მოსავალი კი მოიწიეს, მაგრამ ამის შემდეგ არავინ მიხედა და დაუცავი ბაღი და ვენახი მოთარეშე პირუტყვისაგან განადგურდა.

ამიტომ ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების ამ გარდამავალ ეტაპზე, ვიდრე გარკვეული მოსაზრების გამო მიწათსარგებლობის კანონის მიღებაზე თავს იკავებს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, საიჯარო შრომას უნდა დავუბრუნდეთ.

ამჟამად რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებაში ადგილობრივი პირობების შესაბამისად, რაიონის მშრომელთა, გამოცდილ მეურნეთა აზრის გათვალისწინებით მუშავდება საიჯარო დებულება, იბეჭდება ხელშეკრულების ფორმები და ყველაფერი კეთდება ისე, რომ გლეხი არ დაზარალდეს.

მინიმუმამდე შემცირდება კოლმეურნეობის საშტატო ერთეული, მიწა იჯარით განაწილდება იმის მიხედვით, თუ რამდენია მცხოვრებთა რაოდენობა და მიწის ფონდი. ხელშეკრულებაში ჩაიწერება სულ რამდენი უნდა მოიწიოს მოიჯარემ მოსავალი, რამდენი უნდა მიჰყიდოს აქედან კოლმეურნეობას. ფასები, რა თქმა უნდა, განსაზღვრული იქნება.

ასე, რომ ყველაფერს ეყოლება თავისი ხელშეუვალი პატრონი, რომელიც სისხლხორცეულად იქნება დაინტერესებული თავისი შრომის შედეგით, არ დასჭირდება იმის შეხსენება, რომ სამუშაოდ უნდა გავიდეს, არც იმის გაზომვა და აწონვა იქნება საჭირო თუ რა გააკეთოს, რა მოცულობით და რა ხარისხით.

ვცდილობთ საქმე ისე მოვაწყოთ, რომ ბოლოსდაბოლოს გლეხმა მიწას გული დაუდოს, შრომის ორგანიზაციის ამ ფორმის სიკეთეში დავარწმუნოთ ადამიანები. მშრომელ კაცს, გლეხი იქნება ის, მუშა, მოსამსახურე თუ პენსიონერი, მიწა მიეცემა იმ გარანტიით, თუკი კეთილსინდისიერად მოეპყრობა, არავის ექნება უფლება მასში შეეცილოს. ამით ხელს შევუწყობთ რაიონის ეკონომიკის განმტკიცებას, საფინანსო მდგომარეობის გაჯანსაღებას, მშრომელთა კეთილდღეობის ზრდას.

დაწინაურდა ალპანის უბანი

გაზაფხულის პირველი დღეებია, ამინდს ეშურებიან ალპანელი მშრომელები. ახლა მოუთმენელია არ იჩქარო და ხელი არ შეაშველო ვაზს.

კოლმეურნეობაში მასიურად მიმდინარეობს ვაზის სხვლა. დაწინაურდა თვით ალპანის უბანი, სადაც უკვე დაამთავრეს ვაზის სხვლა.

გაპიროვნებულ ფართობებში ეს სამუშაო უკვე დაამთავრეს მოწინავე მევენახეებმა მარგალიტა, დალაში ჯანაძეებმა, შუშანა ხეცურიანმა, პარიმონ ფრუიძემ, რეზო სერგის ძე ჯანაძემ და სხვებმა.

კოლმეურნეობაში არსებული 18 ჰექტარი ზვარიდან გასხლულია 10 ჰექტარი.

მეხილეობის რენტაბელობისათვის

შარშან ლაილაშის სასოფლო საბჭოს მშრომელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს გეგმით გათვალისწინებულზე ბევრად მეტი ხილი.

საზოგადოებრივი მეურნეობის ბალანსზე 27 ჰექტარი ხეხილის ბაღი ირიცხება, რომელიც მთლიანად მოიჯარეზეა გაცემული. მართალია, მიწას ჯერ თოვლის საფარი ახურავს მაგრამ, როგორც კოლმეურნეობის თავმჯდომარემ აგვიხსნა, ბაღების სხვლა ორგანიზებულად მიმდინარეობს.

თავიანთ ნაკვეთებში სხვლა-ფორმირება ჩაატარეს მოიჯარეებმა. გიგლა თვარაძემ, დადაში ჩაჩხიანმა, ჯიუ გურგუჩიანმა, ისკანდერ ჩარკვიანმა, ჯიმშერ ხუბუკელაშვილმა, ვიველი ობთლაძემ და სხვებმა. სულ გასხლულია 15 ჰექტარი ბაღი.

მალე შეთეთრებას დაიწყებენ.

სწორედ ადამიანთა აქტიურობასა და პასუხისმგებლობაზეა დამოკიდებული წლის წარმატებული ფინიში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩევნების წინ

(დასასრული)

—პრობლემები არის, არ გვაქვს ქსოვილი, საარჩევნო უბნების გაფორმებისათვის. აო არის სატელეფონო კავშირი ყველა საარჩევნო უბანთან, რაც შეეხება ამომრჩეველთა სიების გამოკვრას ყველა საარჩევნო უბანში, წესით 15 მარტისათვის უნდა დამთავრდეს, მაგრამ ზოგიერთი მიზეზის გამო ეს პროცესი 20 რიცხვამდე გაგრძელდა. რესპუბლიკის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას გავუგზავნეთ ოფიციალური მოთხოვნა, რომ უზრუნველგვყოს საჭირო მასალებით.

—ჩვენ გვახსოვს ძველი არჩევნები ზევიდან ჩამოწოდებული კანდიდატურებით, ამომრჩეველთა უხალისო სახეებით, დეპუტატობის კანდიდატობის სავალდებულო კრიტერიუმებით, როცა კანდიდატი უნდა მორგებოდა ასაკს, სქესს, სოციალურ მდგომარეობას და ა. შ. ამ მხრივ ახლა სრული თავისუფლებაა, სავალდებულოა მხოლოდ ერთი რამ—არჩეულ იქნან ისეთი ადამიანები, რომლებიც სუფთა სინდისით კომპეტენტურად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

ქართველებს ერთი კარგი ანდაზა გვაქვს: „ვაის გავეყარე და უის შევეყარეო". მართალია, აღარ არის სავალდებულო დეპუტატობის კანდიდატის არჩევის ძველი კრიტერიუმები, მაგრამ ახალ წინაარმდეგობას ვაწყდებით, ეს ცუდი არაა, რომ ადამიანთა დიდმა ნაწილმა მოინდომა დეპუტატობა, ცუდი — ის არის, რომ ბევრი საქმეზე არ ფიქრობს, მოგვიმრავლდნენ პრივილეგიის მაძებრები, საკუთარი თავის „ბედით" შეწუხებული ადამიანები. არადა ბევრი მათგანი სხვათა შორის ინტელიგენციის. წარმომადგენლებიც, ვერ ერკვევიან საარჩევნო კანონში.

—31მარტს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნებთან ერთად ტარდება საქართველოს მოსახლეობის რეფერენდუმი. რა მდგომარეობა ამ მიმართებით ჩვენს რაიონში?

—არჩევნებთან ერთად რეფერენდუმის ჩატარება პრაქტიკაში ფართოდ მიღებული ფორმაა და ამ მომენტს რესპუბლიკის ახალი ხელმძღვანელობა ხელიდან არ უშვებს, მხედველობაში ღებულობენ იმას, რომ ამ არჩევნების ჩატარება რესპუბლიკას საკმაოდ დიდი თანხა, 14 მილიონი მანეთი უჯდება, ხოლო ცალკე რეფერენდუმის ორგანიზება დამატებით თანხებს მოითხოვდა, ამიტომ არჩევნებთან რეფერენდუმის ჩატარება პოლიტიკურად, ეკონომიურად და დროის მოგების თვალსაზრისით გამართლებულია.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებით 31 მარტს რეფერენდუმისათვის ფორმულირებულია შეკითხვის ტექსტი:

„გსურთ თუ არა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებელი საქართველოს დეკლარაციის საფუძველზე?"

არჩევნებისას ამომრჩეველს ეძლევა მეორე ბიულეტენი, რითაც ამომრჩეველი ფაქტობრივად ხმას მისცემს საქართველოს დამოუკიდებლობას, თუმცა ამას იურიდიული ძალა არა აქვს, მაგრამ მის უდიდეს მნიშვნელობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. საჭიროა მისი ორგანიზებულად და ერთსულოვნად ჩატარება.

ჩვენი რაიონის ყველა ამომრჩეველმა უნდა შეიგნოს, რომ რეფერენდუმის ჩატარებისას ყოველი ხმა ძვირფასია, ამიტომ ლეჩხუმის ყველა მცხოვრები მოვალეა მონაწილეობა მიიღოს რეფერენდუმში და ხმა მისცეს საქართველოს დამოუკიდებლობას.

* * *

არჩევნებამდე არც ისე დიდი დროა. საარჩევნო კომისიის კარი ღიაა ყოველდღე ყველა ამომრჩევლისათვის.

მადონა მახაროგლიძე.

ნეტავი შვილთა მრავალთა

გედნიერების საუფლო

სოფელი ლაილაში. რამდენი სახლია უსინათლო, მდუმარე, გულდამძიმებული, დგას და ელის კარის ჭრიალს, ჩვილის ტირილს, ომახიან სიმღერას, მძიმეა მათი მოლოდინი.

მიგრაციული სოფელი, მით უფრო მთის სოფელი, სადღაც რაიონის რუკაზე გაჩენილი თეთრი ლაქა, კი არა, სამშობლოს გულში გაჩენილი სიცარიელე, მიწის დაკრუება, ადგილის დედის ტირილია.

არადა, რა გასაჭირი აქვთ. სოფლის არე-მიდამო და მიწა-წყალი გულს გაგინათებთ, რა სახნავ-სათესი, რა საძოვრები, თუ კი ივარგებ და გამოიყენებ, მეშენ გეტყვი, სურსათ-სანოვაგე მოგაკლდება.

ცოლ-ქმარს თამაზ და გულნარა გოლოძეებს ხუთი შვილი ჰყავთ აღსაზრდელი. თამაზი კოლმეურნეობის მძღოლია, გულნარა კი ლაილაშის საშუალო სკოლის ბუფეტში მუშაობს. იგი ცხრამეტი წლისაც არ იყო, თანასოფლელს რომ გაჰყვა. ვაუის მშობლებმა ღვიძლი შვილივით მიიღეს გულნარა და ისიც პირველივე დღიდან ერთგულად ამოუდგა გვერდში. [illegible] რე ოჯახის [illegible] [illegible] ვლინათ, შემდეგ ელზა, მესამე კი ზაზა გაჩნდა, მათ მოჰყვა ვანო, ზვიადი. ყველა გაიზარა ახალგაზრდა ცოლ-ქმრის შვილმრავალმა ოჯახმა. გოლოძეების ფუძეზე სითბო და სიყვარული დატრიალდა. 35 წლის დედა ოთხ ვაუსა და ერთ ქალს უზრდიდა ქვეყანას. უფროსი ვაჟი ახლა 16 წლისაა და თბილისში ავტოშემკეთებლის სპეციალობას ეუფლება, ზაზა და ვანო ლაილაშის საშუალო სკოლაში მერხებს უსხედან. ზვიადი კი 5 წლისაა და სბავშვო ბაღში დადის.

მშობლების დარად ბავშვებიც ერთმანეთს მხარში უდგანან, ოჯახს ეხმარებიან, კარმიდამოში, იჯარით აღებულ ვენახსა თუ სასიმინდე ნაკვეთებში მშობლები და შვილები გატაცებით შრომობენ, უვლიან ვაზს, ხეხილის ბაღს, ყანას, მოჰყავთ ყურძენი, სიმინდი, ლობიო, დოვლათით ივსება ოჯახი.

გოლოძეების ფუძეზე ის ყმაწვილები იზრდებიან, ვინც ლაილაშის ძირძველ მიწას ააყვავებენ, გაგრძელებენ ოჯახურ ტრადიციას, თვითონვე დაალვინებენ მაჭარს და საქართველოს სადღეგრძელოდ აქცევენ.

ნუ მოგვიშალოს!

ბ. ბაქრაძე.

გმადლობთ კეთილსინდისიერი

ბერა სამსახურისათვის

სოფელი ოყურეში რაიონის ცენტრიდან 18 კილომეტრითაა დაშორებული. ადრე ამ სოფელში უბნის საავადმყოფო ფუნქციონირებდა, ამ რამდენიმე წლის წინ სოფლის საავადმყოფო გააუქმეს, სოფელი, იყო წლები, რომ ექიმის გარეშე დარჩა. უექიმობა დიდად აწუხებდა მოსახლეობას.

სოფლის ყველა მცხოვრები კმაყოფილი გახდა, რომ ოყურეშის საექიმო უბანში სამუშაოდ მოვიდა ახალგაზრდა ექიმი მერაბ გივის ძე ბურჯალიანი. მან სოფელში მოსვლისთანავე მონდომებული მუშაობით, დაუღალავი შრომით, ხალხის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

მერაბმა თავისი კეთილსინდისიერი საქციელი ჩემი ოჯახის მიმართაც გამოავლინა. ჩემს მამას ღამის სამ საათზე წნევამ აუწია, დილისაკენ შოკში ჩავარდა, რამდენიმე წუთიც და მისი სიცოცხლე შეიძლება გათავებულიყო. სასწრაფოდ შევატყობინეთ მერაბ ექიმს, იგი დილაადრიან მოგვევლინა მხსნელად, მან თავისი ცოდნა, გამოცდილება და ენერგია არ დაიშურა და სიკვდილს გამოსტაცა ავადმყოფი. ამჟამად იგი კარგადაა, რასაც ვუმადლით მერაბ ექიმს

მაყვალა მუშკუდიანი.

სოფელი ოყურეში.

ლეჩხუმის ეთნოგრაფიის შესწავლისათვის

ცაგერის რაიონი, რომელსაც წინათ ლეჩხუმი ერქვა, ხოლო უფრო შორეულ წარსულში თაკვერი, სამი მდინარის—რიონის, ლაჯანურისა და ცხენისწყლის ხეობაში მდებარეობს. მას ესაზღვრება წყალტუბოს, ხონის, მარტვილის, ლენტეხისა და ამბროლაურის რაიონები. ამ მიკრორეგიონის მოსახლეობის ეთნოგრაფიული ყოფა და კულტურა სპეციალურ კვლევასა და შესწავლას მოითხოვს.

ლეჩხუმის ტერიტორია შეადგენს 755,4 კვადრატულ კილომეტრს, რომელზედაც განაშენიანებულია 57 სოფელი და ადგილობრივი დაქვემდებარების ერთი ქალაქი—ცაგერი.

უკანასკნელი წლების აღწერით მოსახლეობა შეადგენს 17400 სულს, აქედან 17.381 ქართველია, ხოლო დანარჩენი სხვა ეროვნებისა.

ლეჩხუმს 1930-იან წლებში ადმინისტრაციული დაყოფის დროს ჩამოაცილეს და ამბროლაურის რაიონს დაუქვემდებარეს ჭუვიშისა და ჭრებალოს სასოფლო საბჭოებში შემავალი სოფლები ქვემო ლეჩხუმის—მექვენის თემის სოფლები და ქუთაისის რაიონის შემადგენლობაში შეიყვანეს.

მე-19 საუკუნეში ცაგერის მაზრას ადმინისტრაციულად ექვემდებარებოდა აგრეთვე ქვემო სვანეთიც, რომელიც შემდეგ ცალკე რაიონად ჩამოყალიბდა ლენტეხის რაიონული ცენტრით.

ლეჩხუმის სოფლები ზღვის დონიდან 400-დან 1200 მეტრამდე სიმაღლეზე მდებარეობენ.

ლეჩხუმი საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით რთული რელიეფურობით ხასიათდება. მთაგორიანია როგორც სახნავ-სათესი, ისე ვენახები.

ეთნოგრაფიული კვლევის შედეგად დადგენილია, რომ ლეჩხუმში 98 დასახელების ვაზის ჯიში ყოფილა განვითარებული, ხოლო ადგილობრივი წარმოშობის ვაზის ჯიშებია: „საირმულა", „ორხულა" და სხვა.

რაიონის რელიეფურმა პირობებმა ხელი შეუწყო მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარებას, რის შედეგადაც ლეჩხუმურმა ღვინოებმა: უსახელოურმა, ოჯალეშმა, ცოლიკაურმა და სხვებმა სახელი გაითქვეს და მრავალ საერთაშორისო დეგუსტაციაში მიიღეს რა მონაწილეობა, ვერცხლისა და ოქროს მედლები დაიმსახურეს.

დადასტურებულია, რომ ლეჩხუმში უხსოვარი დროიდან მისდევდნენ ვენახების გაშენებასა და ღვინის დაყენებას. მეღვინეობის სამსახურში ჩაყენებული იყო ადგილობრივი კერამიკული წარმოების ისეთი სოფლები, როგორებიც იყო საირმე, ოფიტარა, ოყურეში, ქულბაქი და სხვა. საირმეში დამზადებული თონეები, დოქები, კეცები და სხვა ნაკეთობანი დიდი სახელითა და ქებით იხსენიებოდა. სამწუხაროდ, დღეს მისი წარმოება გაუქმებულია და აღდგენა-განვითარებაზე არავინ ზრუნავს. ამ წარმოების ცალკეული სახეობა მხოლოდ მუზეუმის ექსპონატადაა გადაქცეული.

ხელოსნობის ერთ-ერთი დარგია მჭედლობა. იგი მეტად საჭირო და აუცილებელია, რადგან დიდი მოთხოვნილება იყო სამჭედლო და სამეურნეო იარაღებზე—მთის ტყიანი ადგილების გაჩეხვა საახოედ, სამასალედ, შეშისათვის, ვენახისათვის სამჭედლო იარაღებს მოითხოვდა. ხელოსნები ადგილობრივ სამჭედლოებში დამზადებული იარაღებით ასრულებდნენ ხისა და ქვის მხატვრულ გაფორმებასაც.

უძველეს ხანაში ლეჩხუმი დაწინაურებული ყოფილა მეტალურგიის დარგში, ამას ადასტურებს ტყვიისა და რკინის საბადოების არსებობა, ბრინჯაოს იარაღები და ნივთები, რომელიც ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია ექსპონირებული, ან ფონდებშია დაცული.

ლეჩხუმში მაღალ დონეზე ყოფილა განვითარებული ქვითხურობის დარგი, სადაც შესამჩნევი იყო პროფესიული განხრები. იყენენ საამშენებლო ქვის მოხელენი, წისქვილის ქვის მთლელები, ბუხრის ოსტატები, საფლავების ქვის მოხელენი და ა. შ. ქვის მოხელეთა ნამუშევრები დღესაც ამშვენებს ზოგიერთი ლეჩხუმელის სახლს, ჭიშკრის სვეტების, კარ-ფანჯრების კუთხის კარნიზებს და სხვა.

ლეჩხუმელ გლეხთა სოციალური დიფერენციაცია განსაკუთრებით შესამჩნევია მე-19 საუკუნის ბოლოსათვის. ამ დროისათვის ყველაზე დამახასიათებელი იყო ხის ერთსართულიანი სახლები, რომელსაც „კათხას" ეძახდნენ. შემდგომ პერიოდში სახლები უმეტესად ორსართულიანი შენდებოდა, პირველი სართული ქვის იყო, ხოლო მეორე სართული—ხის.

ლეჩხუმურ დასახლებაში შედიოდა სახლი, მარანი, სათონე, ბეღელი, ბოსელი, საბძელი, საღორე, საქათმე და სასიმინდე. ყოველივე ეს კარმიდამოზე იყო მოთავსებული და საკმაოდ დიდი ფართობიც ეკავა. საქონლის ბადგომსა და საბძელს ერთად ათავსებდნენ. საკარმიდამოს ეკონომიის მიზნით, ეზოს ჭიშკრის თავზე სასიმინდე იყო მოთავსებული. ეზოს შესასვლელი საგანგებოდ ეწყობოდა მოჩუქურთმებული ფასადის სახით.

ლეჩხუმში ქალისა და მამაკაცის ჩაცმულობა შესანიშნავად ასახავს აქ მცხოვრებთა სოციალურ მდგომარეობას. მოსახლეობაში დიდხანს იყო გაბატონებული ადგილობრივი ქსოვილებისაგან დამზადებული ჩაცმულობა. რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება ინვენტარ-მოწყობილობანი, რომელიც იმ დროს გამოყენებული იყო მატყლის ჩეჩვის, თელვის, ქსოვისა და შეგრეხისათვის, ნაქსოვ-ნაქარგები და სხვა მასალები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მანუფაქტურული წარმოება წარსულში მაღალ დონეზე იდგა და დიდ მოწონებასაც იმსახურებდა. ბევრი მათგანი იშვიათი ოსტატობით, მაღალმხატვრული და ესთეტიკური გემოვნებით არის შესრულებული.

ვავლებთ რა თვალს ლეჩხუმის ეთნოგრაფიას, როგორც ირკვევა მას შორეულ წარსულში აქვს ფესვები გადგმული. მისი შესწავლა, დაცვა და განვითარება საშვილიშვილო საქმეა, ამიტომ იყო, რომ ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მიერ ამ დღეებში ჩატარებული სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია ამ მეტად საჭირო საკითხს მიეძღვნა.

კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდნენ: ვლ. ხეცურიანი, მუზეუმის დირექტორი—„ლეჩხუმის მოკლე ეთნოგრაფიული მიმოხილვა", ჯ. საღინაძე, მუზეუმის უფროსი მეცნიერ-მუშაკი—„ერთი უნიკალური ნაქსოვ-ნაქარგის შესახებ", მ. ღურჭუმალიძე, სურათების გალერეის დირექტორი—„ქვითხუროობა ლეჩხუმში", თ. საღინაძე, ფონდების გამგე—„ხალხური აგროტექნიკისა და საყოფაცხოვრებო იარაღების შესახებ".

კონფერენცია საინტერესოდ ჩატარდა და დამსწრეთა მოწონება დაიმსახურა.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა და რესპუბლიკაში არსებული მიმდინარე პოლიტიკურ ამბებთან დაკავშირებით დამსწრეთ ესაუბრა კულტურის განყოფილების გამგე გ. ბრეგვაძე.

ავტომობილთა დისციპლინა და ავტორიტეტი

ათასზე მეტი კაცი დაიღუპა და 3.500-მდე დაშავდა. ეს საომარი მოქმედების რაიონიდან მიღებული საბრძოლო დანაკარგების შესახებ ცნობა არ გეგონოთ. ასეთი დიდი მსხვერპლი—ჩვენი რესპუბლიკის გზებზე შარშან მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შედეგია. სტატისტიკის შესაბამისად საქართველოში ავარიის დროს დასახიჩრებული ყოველი 100 კაციდან 23 გარდაიცვალა, მაშინ, როცა მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში—ინგლისში, გერმანიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში მხოლოდ 1-დან 3 კაცი დაიღუპა.

ახლანდელ ეტაპზე, გლობალური პრობლემების გადაწყვეტამდე,—თქვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს უფროსმა ვ. როგავამ,—შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალად ჩვენ მიგვაჩნია საგზაო მოძრაობის ყველა მონაწილის დისციპლინისა და პასუხისმგებლობის ამაღლება. პირველ რიგში ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს თვით მძღოლების დისციპლინა. ამასთან ერთად, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებს ხელს უწყობს ინტენსიური საავტომობილო მოძრაობისათვის ჩვენი გზების შეუსაბამობა, და თვით სამამულო ავტომობილების კონსტრუქცია არცთუ ისე უსაფრთხოა იმათთვის, ვინც მართავს. ნაკლები პროფესიულობით ხორციელდება მძღოლთა შერჩევა და მომზადება. საჭიროა გამკაცრდეს მათი სამედიცინო შემოწმებაც.

ამ დღეებში გამოქვეყნდა საქართველოს რესპუბლიკის კანონი რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცედურო კოდექსში და საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებათა შეტანის შესახებ. ისინი, კერძოდ, ითვალისწინებენ სატრანსპორტო საშუალებათა მოშმობის ან სანომრო ნიშნის გარეშე მართვისათვის პასუხისმგებლობის გამკაცრებას.

დიახ, ეჭვგარეშეა, რომ ცხოვრებით ნაკარნახევი ეს გადაწყვეტილება დიდად და ეფექტიანად დაეხმარება ჩვენს მუშაკებს სატრანსპორტო დისციპლინის გზებზე განმტკიცებაში.

ბოლო ხანებში რესპუბლიკის გზებსა და ჩვენი ქალაქების ქუჩებში ხშირად შეხვდებით უნომრო ან არასტანდარტულ ნომრიან ავტომობილებს... და ამან მეტად გაუმართლებელი მასშტაბები მიიღო. მინდა გავაფრთხილო კერძო და სახელმწიფო მანქანის ყველა მძღოლი, რომ მათ მკაცრად მოვთხოვთ დადგენილი წესების შესრულების და კანონმდებლობა ამაში ჩვენ დაგვეხმარება. მაგალითად, უნომრო სატრანსპორტო საშუალების, ან თუ იგი შენიღბულია სხვისი ან სხვა სახით შეცვლილი სახელმწიფო ნომრით, მართვისათვის გათვალისწინებულია მართვის უფლების ჩამორთმევა 1-დან 3 წლამდე ვადით, ხოლო ერთი წლის განმავლობაში იგივე ქმედების განმეორების შემთხვევაში მას ჩამოერთმევა სატრანსპორტო საშუალება.

—რატომ გამკაცრდა ასე ეს ნორმა?

—ყველასათვის ცნობილია, თუ როგორ გაიზარდა ამჟამად დამნაშავეობა და თითქმის ყველა დანაშაული მანქანის დახმარებით ხდება. ასეთ დროს ნომრებს ხსნიან, ხელოვნურს უკეთებენ ან უცვლიან...

—და მაინც არის მომენტები, როცა მანქანა უნომროდ რჩება, მაგალითად, ყიდვისას და სხვა.

—ასეთ შემთხვევაში ავტომაღაზიები სატრანზიტო ნომრებს იძლევიან. ამასვე აკეთებენ ავტოინსპექციის სარეგისტრაციო ქვედანაყოფები, როცა მანქანას ხსნიან აღრიცხვიდან „საკომისიებში" რეალიზაციის მიზნით ან სხვა ქალაქში გადასვლის დროს.

—ჩვენ განზრახული გვაქვს ყველაზე მკაცრად მოვკითხოთ საგზაო მოძრაობის მონაწილეებს, რათა მათ შეასრულონ ზემოთ აღნიშნული მოთხოვნები. ყველა შემთხვევაში მანქანები დაკავებული გვეყოლება სანამდის არ გადაიხდიან ჯარიმას, ან სასამართლოს გადაწყვეტილებამდე. ასე, რომ, ყველა მძღოლს ვთხოვთ ნუ ჩაიდენენ მსგავს დარღვევებს ნუ ჩაიგდებენ თავს უხერხულ მდგომარეობაში, ვინაიდან სახელმწიფო ავტოინსპექციის თანამშრომელთა მხრივ არავითარი შეღავათი არ ექნებათ.

სისხლიანი ნაკვალევი

ალან ჩოჩიევი — სუკის პოლკოვნიკი

ამ დღეებში ქ. სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი, საქართველოს რესპუბლიკის სახალხო არტისტი ჯაიანი შემოქმედებითი ფილენებით მოსკოვში იმყოფებოდა. იგი მიწვეული იყო ევგენი ევტუშენკოს ახალი ფილმის პრემიერაზე, რომელიც სტალინის დაკრძალვის ფაქტს ეძღვნება.

ფილმის პრემიერის შემდეგ პრეტმა ბატონი დიმიტრი რამდენიმე მეგობართან ერთად საკუთარ ბინაზე მიიპატიჟა, კუტუზოვის პროსპექტის ცნობილ სახლში.

ეს სახლი ორი რამით არის საყურადღებო: ერთი იმით, რომ ადრე იქ ვიაჩესლავ მოლოტოვი ცხოვრობდა, მეორე ღირსშესანიშნაობა ამ სახლისა ის გახლავთ, რომ იქ საკავშირო სუკ-ის უმაღლესი რანგის წარმომადგენლებს აქვთ ბინა მიჩენილი.

ამ გარემოცვაში „ჭანჭიკის" ავტორი და სტალინის „მეხოტბე" თავს ცოტა უხერხულად უნდა გრძნობდეს, მაგრამ, როგორც ჩანს, ევგენი ევტუშენკო იმ რანგის შემოქმედი როდია, რომ მსგავსი გარემოცვა აფრთხობდეს. პირიქით სუკ-ის უმაღლეს საფეხურზე მდგომ ზოგიერთ მოხელესთან ახლო მეგობრობაც კი აქვს, რაც სრულიად არ უშლის ხელს მის მწერლურ კარიერას.

მაგრამ ჩვენ თემას გადავუხვიეთ.

—როცა პოეტის ბინაში სუფრას მივუსხედით და ცოტაც გავმხიარულდით კიდეც, — უყვება ბატონი დიმიტრი,—ევტუშენკომ მზერა ეშმაკურად ჩემზე შეაჩერა და გამომწვევად დამეკითხა, იცი, ვინ ცხოვრობს ამ სახლში, ჩემი ბინის პირდაპირ?!

მე, რასაკვირველია, ცოტა არ იყოს დაბნეულმა, მხრები ავიჩეჩე და დუმილი ვარჩიე, ნიშნად იმისა, რომ არც თუ კარგი ნაცნობობა მაკავშირებდა პოეტის მეზობლებთან..

—იქ,—თვალებით მანიშნა ევტუშენკომ,—ძმაო ჩემო, ჩოჩიევი ცხოვრობს, ალან ჩოჩიევი, ამ დღეებში ჩამოსახლეს აქ ცოლშვილით.

—საიდან სადაო?—გავიოცე მე, აგრძელებს მოყოლას ბატონი **დიმიტრი.**

—საიდან სადაო და... სუკ-ის პოლკოვნიკია და ეტყობა ცენტრი განსაკუთრებით უფრთხილდება, მასაც ყულუმბეგოვის ბედი არ ეწვიოს და თბილისში არ ამოყოს თავი. ამიტომ აქ მოსკოვში ყველაზე საიმედო თავშესაფარი მიუჩინეს.

სადაც უნდა დაიმალო, კუთვნილ განაჩენს მაინც ვერსად გაექცევი, მით უმეტეს, როცა იმოდენა ცოდო გაქვს, რამდენიც ჩოჩიევს აწევს,—დასრულა საუბარი ბატონმა დიმიტრიმ.

დიახ, ჩოჩიევის ეს მოსკოვური ხიზნობა ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს, თუ საიდან იღებს სათავეს სამაჩაბლოს ტრაგედია.

გაზეთ „კოლხური დიადემა".

მჭედელი

ამ ხელობის ოსტატები ახლა თითებზე ჩამოსათვლელადღაა შემორჩენილი ჩვენს მხარეში. თანდათან ქრება და დავიწყებას ეძლევა ხელობა ოდითგანვე რომ მოსდევდა ქართველთა ჯიშს, მამიდან შვილს, შვილიდან შვილიშვილს რომ გადაეცემოდა მემკვიდრეობით და თაობები აგრძელებდნენ დიდპაპის დაწყებულ საქმეს. ახალ დროებას კი ბევრ ახალთან ერთად ძველის დავიწყება მოჰქონდა.

სოფელ ლაჯანაში ახლაცაა შემორჩენილი ერთი ძველისძველი სამჭედლო, წაქცევის პირას რომ მისულა. სამჭედლოში შესულს საბერველის ქშენა, მძიმე უროს რკინაზე ბაგა-ბუგი და ცეცხლის ალის მხურვალება მეგებება. ქურასთან ხანშიშესული მამაკაცი ტრიალებს, ისეა თავისი საქმით გართული, ვერც კი ამჩნევს შემსვლელს, არ უნდა საქმეს მოსწყდეს.

... მე გრიშა კვენტაძე ვარ, სოფელ ლაჯანაში ვცხოვრობ 20 წელია და ვჭედავ და ვჭედავ... იღიმება და თვალი ისევ ქურისკენ გაურბის.

გრიშა კვენტაძე უკვე 62 წლისაა, მან მჭედლობა თავის ცხოვრებისეულ საქმიანობად გაიხადა და უკვე 46 წელიწადია არ უღალატია მისთვის.

—...1945 წელს ვისწავლე ეს ხელობა. წინასწარგამიზნულად კი არა, ისე ვისწავლე ის, რაც მასწავლეს. მამა-პაპა არ ყოფილა მჭედელი, ოჯახურ ტრადიციად არ მოგვდევს და არც ჩემი 3 ვაჟიდან ფიქრობს რომელიმე ამ საქმის გაგრძელებას.

—რას ჭედავთ ძირითადად?

—ყველაფერს, რასაც მჭედლის ხელის შეხება სჭირდება, ახლა საგაზაფხულო სამუშაოების ჯერი დგება და უამრავი საქმე მაქვს, მოაქვთ და მოაქვთ შესაკეთებლად გუთნები, სახნისები (და სახნისების წყებას მაჩვენებს). საიდან არ მოდიან ჩემთან, მახარაძიდან, ქობულეთიდან, გორიდან, ისე გაიშვიათდა ეს ხელობა, რომ ასეც ხდება.

ერთი კია, მასალის შოვნა ძალიან მიჭირს, გაწვალებული ვარ, ფაქტიურად არც იშოვება მასალა.

—შემოსავალი თუ გაქვთ რაიმე?

—პურის ფულს ვშოულობ (კვლავ იღიმება), მაგრამ მარტო გასამრჯელო ხომ არ არის მთავარი.

სამჭედლოში მთელი დღის განმავლობაში შემოდიან და შედიან მთხოვნელები. ვის რა აქვს გამოსაჭედი, შესაკეთებელი, ეს ჭარმაგი კაცი მხოლოდ წუთებით სწყდება საქმეს და მერე ისევ მთელ გულისყური მასზე გადააქვს. ჩემმა სტუმრობამაც ისედაც საკმაო დრო წაართვა და შეკითხვებს აღარ ვაძლევ. მოვდივარ და ვფიქრობ, ვინ იქნება ახალ თაობაში მისი შემცვლელი, იქნებ სულაც დაივიწყონ ეს ხელობა, იქნებ არავინ არ ისურვოს მჭედლის გამურული ხელები, მტვრიანი სახე და დაღლილი თვალები. მოვდივარ და გრიშა კვენტაძის სიტყვები მახსენდება:

—„ვის უნდა მჭედლის გამურული ხელები, ყველა ოღ სამუშაოს ეძებს და ზედმეტ შრომას თავს არიდებს!" მართლაც ასეა. ახლანდელი თაობიდან უძეტესობას თეთრი პერანგები და განცხრომით ცხოვრება ურჩევნია... არადა ძველი ქართული ტრადიცია შეიძლება თვალსა და ხელშუა ისე გაქრეს, მისი ნაკვალევიც აღარ შემოგვრჩეს, მერე კი როგორც იტყვიან „გვიანღა იქნება თითზე კბენანი!"

მ. მახარობლიძე.

სენსაცია

ახალი შეხვედრა უცხოპლანეტელთან

ულან-ბატორი. გაზეთმა „უნენმა" გამოაქვეყნა შეშინებულთვალებიანი პატარა გოგონას სურათი. გაწეწილი თმები და „მოზრდილის" შეშფოთებული გამოხედვა ადასტურებს უჩვეულო შემთხვევას, რომელიც ეკვსი წლის ბოლორმას გადახდა თავს. და თავისდაუნებურად აღმოჩნდა **უცხოპლანეტელთა ხომალდში.** ამ შემთხვევაზე ახლა მთელი დასავლეთ მონგოლეთის იაბხანის აიმაკის მოსახლეობა ლაპარაკობს.

საღამოხანს გოგონას ძებნაში დედამისმა თითქმის ყველა მეზობლები მოიარა, ყველა ბაკში შეიხედა, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს როგორც იქნა ბავშვებმა სასიხარულო ამბავი მოუტანეს—გოგონა იპოვეს: მას შეწუხებული შესახედაობა ჰქონდა. სასიკვდილოდ შეშინებული პატარა სულ დაღლილებული იყო, ცხვირიდან სისხლი სდიოდა.

ბოლორმას არეული ლაპარაკიდან შეიტყვეს, რომ ის, თითქოს ქამანდით დაიჭირეს უცხვირო, პატარა ყურიანმა და უზარმაზარპირიანმა საოცარმა არსებებმა და აიყვანეს დიდ ცილინდრისებურ აპარატში. გადამთიელები მას გაემასპინძლდნენ კანფეტებით და ნამცხვრებით, დაალევინეს ჩაი, რის შემდეგაც გახადეს, ფეხის ტერფები გაუზომეს და გამოუშვეს.

იმ ადგილას, სადაც ის იპოვნეს, **აღმოაჩინეს** უცხო ნაკვალევი,

სენსაცია

მოქალაქე ფ-ს უწმსო საქციელი

ზღვისპირეთის სოფელ ასტრახანის მცხოვრებმა ფ-მ არასწორად გაიგო საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა. იგი ორი მცირეწლოვანი შვილის (უფროსი წლისაა, უმცროსი თვეების) ახალგაზრდა მარტოხელა დედაა. მათ შორის 20 სანტიმეტრის ზომის ოვალი. თუმცა ბოლორმა ვერ გაერკვია, თუ რა ენაზე ელაპარაკებოდნენ ეს შავტანსაცმლიანი უცნაური არსებები, მაგრამ მაინც მიხვდა, რომ ისინი შეპირდნენ, რომ კვლავ დაბრუნდებიან მანამდე, სანამ მეცხოველეები საზამთრო საღგომებს დატოვებენ.

მან თვეების ბავშვი გაყიდა... ამანეთიან კოსმეტიკურ ნაკრებზე, ჯინსის კაბასა და იაფფასიან სამკაულებზე.

ცნობა ბავშვის დაკარგვის თაობაზე ხანკის მილიციის რაიონულ განყოფილებაში თვით დედისაგან გაიგეს. რაიონული მილიციის მუშაკებმა მაშინვე გააკეთეს მობილიზება და ფეხზე დადგენ. მათ არ გასჭირვებიათ ამ ცინიკური ქმედებისთვის ბოლოს მოძებნა. აღმოჩნდა, რომ ფ-მ გაატანა ბავშვი ჩამოსულ უშვილო ოჯახს, „მყიდველმა" სწრაფად დაუბრუნეს ბავშვი დედას.

სასამართლომდე საქმე არ მისულა, რადგან სისხლის სამართლის კოდექსში არ არის შესაბამისი მუხლი, ვის შეიძლებოდა თავში მოსვლოდა მსგავსი რამ?

(ვლადივოსტოკი).

საკდესი.

რედაქტორი

ნ. ნემსაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბილოცავთ

სოფო არჩილის ასულ ომანაძეს
გოჩა თამაზის ძე სვანიძეს

გილოცავთ ბედნიერებას. შეგექმნათ ფუძეძლიერი ქართული ოჯახი.

ქეთინო, ჯაბა, ეკა დავითულიანები.

ბილოცავთ

ნელი ლეთოდიანს

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ბედნიერებას და სიხარულს, საყვარელ ოჯახთან ერთად.

ცაგერის კინოფიკაციის თანამშრომლები.

ნონა და გოგი მუშკუდიანებს
იზა და იური ჩაკვეტაძეებს

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ვაჟკაცი. შემატებოდეს მრავალი და-ძმა.

ცაგერის №2 ბაგა-ბაღის კოლექტივი.

ნანა გახვას ასულ კოკაღიანს
გოგი აქვსენტის ძე გოლეთიანს

გილოცავთ ვაჟის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ვაჟკაცი.

ომარ, მამფკა, მიმოზა, ვენერა კოპალიანები.

ლია, კუჰიკო მახარობლიძეებს

გილოცავთ ქალიშვილის ბედნიერებას, მუდამ სიხარული ავსებდეს თქვენს ფუძე-ჭერს. მოსწრებოდეთ მრავალ შვილიშვილს, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

მზია ბურჯალიანი, მარიკა ონიანი, ლალი, ციალა კვენტაძეები, ნორა, თინიკო, დარეჯან მახარობლიძეები, თამილა გურასაშვილი, ფერიდა გოგებაშვილი.

ნაირა გრიგოლ საღინაძეებს

გილოცავთ ქალიშვილის ბედნიერებას, ვუსურვებთ ფუძეძლიერი ოჯახის შექმნას, ულევი სიხარული ნუ მოკლებოდეს თქვენს ოჯახს.

მურთაზ, გრიშა, ვაჟა, ჯიმშერ, უუუნა კოპალიანები, გელა ლეთოდიანი, მერი ბრეგვაძე ოჯახებით.

ზაზა ჰიჰიკოს ძე ჭარსელაძეს

გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ წარმატებებს, წინსვლას პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

თალიკო, ჯუმბერ, მალხაზ, მამუკა ჭარსელაძეები, ნატო, ნინო, ნონა, ნოდარ მაჭარაშვილები.

ღიღი ლიპარტელიანს

ბებია, გილოცავთ 50 წლის იუბილეს. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

ნინიკო და გვანცა მეშველიანები.

რუბენ ალექსანდრეს ძე დავითულიანს

გილოცავთ დაბადების დღეს, დაესწარით მრავალს ყველა კეთილს მსურველებით. გისურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს და სიყვარულს.

ჩქუმის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები.

მაყვალა ჯემალის ასულ კოკალიანს

გილოცავთ დაბადების დღეს. გაზაფხულივით ლამაზი ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების გზა. სიხარული და სიყვარული ნუ მოგკლებოდეთ.

ლუხვანოს არასრული საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლეები.

შვილები ოლდა, ივდითი, ჰიჰიკო, გურგენ ბახსოლიანები, რძლები ქენია მანაგაძე, ქენია გულბანი, ნინო საღინაძე, ნინო ჩიჩია, სიძეები გრიშა მახარობლიძე, ოლეგი ჩაჩანიძე, ანზორ კვირკაშვილი, ბესიკ ლომთაძე, შვილიშვილები ლენა, ხაური, ჯოვანი, მადლენა, რუსუდანი, ნუგზარი, მაია, ბესიკი, მადლენა, იხა, შვილთაშვილები, ძმისშვილები, დისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მატრონა ბეკოს ასული
გვიშიანი-ბახსოლიანი.

დაკრძალვა 19 მარტს, სამშაბათს, სოფ. ორბელში.

კულტურის განყოფილების, ცენტრალიზებული ბიბლიოთეკისა და კულტურის სახლის თანამშრომლები თანაუგრძნობენ გულო და თენგიზ კოპალიანებ დედის

ვერა კოპალიანის

გარდაცვალების გამო.

ანგელი ფრუიძე, ბორის ჭაბუკიანი, ოთარ ჩიქოვანი, შოთა ჩხეტიანი, ბექან ტვილდიანი, ამირან ჩანქსელიანი, მურთაზ ბერიძე, ნოდარ ასვლედიანი, რეზო, ზაქრო საღინაძეები იუწყებიან

დათო ოთარის ძე ქომეთიანის

გარდაცვალებას.

კობა გულბანი, კობა მუშკუდიანი, ნანა შკუბულიანი, ფატი ჩხეტიანი, მთვარისა ლიპარტელიანი, ზაზა სილაგაძე, ნატო კოპალიანი, მირანდა ხაბულიანი, ირმა მეშველიანი თანაუგრძნობენ გია ქომეთიანს ძმის

დათო ქომეთიანის

გარდაცვალების გამო.

ჭიჭიკო ბახსოლიანი, დათო გორბელიძე, ანზორ კვირკაშვილი ოჯახებით იუწყებიან

მატრონა ბეკოს ასული
გვიშიანი-ბახსოლიანის

გარდაცვალებას.

საშურა გოგიძე, მელორ ბენდელიანი, ბუჭუ ასვლედიანი, მურმან ქურასბედიანი, რომან ლეთოდიანი, სოზარ გვიდიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვერა კოპალიანი.

კოლია, რუბენ ხვადაგიანები, მარგალიტა შკუბულიანი, შოთა ასვლედიანი, მურმან ხეცურიანი ოჯახებით იუწყებიან

ვერა ფილიპეს ასული
შკუბულიანი-კოპალიანის

გარდაცვალებას.

მიშა ბერიძე, გრიშა ასვლედიანი, ვალერი ჯიაძე, ღალაკო მიხდაძე, ბუდუ ომანაძე, ჯემალ კოპალიანი, ამირან ასათიანი, ჯიბილო ასათიანი, ლოლა ჩაკვეტაძე თანაუგრძნობენ ნიურა ქომეთიანს შვილის

დათო ქომეთიანის

გარდაცვალების გამო.

ჯემალ, დემურ კოპალიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ალათი ლიპარტელიანი

ჯუმბერ, ზაურ მეშველიანები, ავთო, ბორის, გიგლა მეიფარიანები, გურამ ბენიძე ოჯახებით იუწყებიან

დათო ოთარის ძე ქომეთიანის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

შვილები ეუფუნა, ჭიჭიკო, ტუხა, რძლები ვენერა, ნანული, ციალა, ნინო, ცირა, ლეილა, სიძეები ოთარ ყურაშვილი, ბახვა ჭიდვარია, გოჩა ჯაშიაშვილი, დები მაშო, ონტო, შვილიშვილები ტარიელი, მანანა, მერაბი, მანუკა, პიმენი, თამილა, ინგა, პაატა, შვილთაშვილები ანიკო, თამია, გვანცა, გალაქტიონი, მიშა, გვანცა, დისშვილები, ძმისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვერა ფილიპეს ასულ
შკუბულიანი-კოპალიანი.

დაკრძალვა 19 მარტს, სამშაბათს, ქვ. ცაგერში.

ქეედა ცაგერის საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნატო გიორბელიძეს და ნინო საღინაძეს ბებიის

მატრონა ბახსოლიანის

გარდაცვალების გამო.

რეხო ბენდელიანი, კუკური ბერიძე, გივი მუშკუდიანი, სოსო დავითულიანი, გრიგოლ კვირკაშვილი, გურამ, თენგიზ კოპალიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვერა ფილიპეს ასული
კოპალიანი

ამირან დიომიდეს ძე ჭაბუკიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ალათი ლიპარტელიანი

კავშირგაბმულობის ალპანის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ჯუღულო და ბიმოზა ხვადაგიანებს დისა და მამიდის

ნატაშა ხვადაგიანის

გარდაცვალების გამო.

ქალაქის ბიბლიოთეკების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ქენია მანაგაძეს, მაია, ნუგზარ, ჭიჭიკო ბახსოლიანებს დედისა და ბებიის

მატრონა ბახსოლიანის

გარდაცვალების გამო.

დათო ხეცურიანი, ჯუმბერ ცვარიანი, ზაურ, გელა ასვლედიანები, ბახვა კოპალიანი, ბუჭუ ბენდელიანი, გივი ნენსაძე, კახა ფუტკარაძე, ეორა სილაგაძე, გივი ქომეთიანი, კოსტა ჩაქსელიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ შადიმან დავითულიანს ბიძის

ფრიდონ კუხალაშვილის

გარდაცვალების გამო.

სოფუზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლია კოპალიანს დედამთილის

ალათი ლიპარტელიანის

გარდაცვალების გამო.

გურგენ გოქაძე, მურთაზ ჩაჩხიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დავით სარდიონის ძე ქარსელაძე.

ლაილაშის საბავშვო ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლია, მურთაზ ჩაჩხიანებს ბიძის

დავით სარდიონის ძე
ქარსელაძის

გარდაცვალების გამო.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები თანაუგრძნობენ თამილა კოპალიანს ბებიის

ვერას

გარდაცვალების გამო.

ეზა გოლეთიანი, ნინელი მუშკუდიანი, ლამზირა საღინაძე, გულჩუბინიძე, თამარ [illegible], [illegible]უშა ონიანი, [illegible] [illegible] [illegible]